# სარბიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი შაბათი 26 ნოემბერი 2005 №272 (2595) ფასი 50 თეთრი

## თუთუმლუს ფედერაციიდან შეკვეთა მიუვიდა: კატანეცი ან ფლორო







## და კიდევ: კარლოს ბილარდო?



*თურქი აგენტი ბაირამ თუთუმლუ ახლა დანიაშია და საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელის შესარჩევად ირჯება. ბაირამ ეფენდის გუშინ საღამოს დავურეკეთ და მისგან მნიშვნელოვანი ამბები გავიგეთ...*

— საქართველოს ფეხბურთის ფედერაციიდან უკვე მივიღე უფლებამოსილება, მისი სახელით ვესაუბრო თქვენი ეროვნული ნაკრების მწვრთნელის კანდიდატებს.

— რომელ მწვრთნელთან იწყებთ მოლაპარაკებას?

— მწვრთნელთან კი არა, მწვრთნელებთან — სრეჩკო კატანეცთან და ბენიტო ფლოროსთან. ვფიქრობ, ფლორო საქართველოს ეროვნული ნაკრებისთვის ძალიან კარგი ვარიანტია, მას მდიდარი გამოცდილება აქვს, სამი წელი მადრიდის „რეალს“ წვრთნიდა, უმუშავია სხვა ცნობილ ესპანურ გუნდებშიც, გამოცდილება აქვს ახალგაზრდებთან მუშაობაშიც.

— ფლოროს გაწვრთნილ კლუბებს დიდი წარმატებებისთვის არ მიუღწევიათ...

— ვერ დაგეთანხმებით, ფლოროს გაწვრთნილი გუნდები სულ მოწინავეთა შორის იყვნენ, ამაში მისი CV-იც დაგარწმუნებთ.

— ფლოროს ნაკრებში მუშაობის გამოცდილება არ აქვს, კატანეცმა კი სლოვენიის ნაკრები ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალურ ეტაპებზე გაიყვანა...

— თუ საქართველოს კატანეცი ურჩევნია, კი ბატონო, ჩამოგიყვანთ კატანეცს.

— კატანეცი ამ დროისთვის სლოვენიაში არ იმყოფება...

— მასთან დაკავშირება არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს.

— ფლოროს უკვე ელაპარაკეთ? მისთვის მისაღებია საქართველოს ნაკრებში მუშაობა?

— ფლოროს სამი დღის წინ ველაპარაკე, ახლა მეტს ვერაფერს გეტყვით.

— ფლოროსთან და კატანეცთან ერთდროულად უნდა აწარმოოთ მოლაპარაკება?

— საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი დღე-დღეზე ბრუნდება თბილისში და, როცა მასთან ვისაუბრებ, დანარჩენს მერე გეტყვით — პრეზიდენტის აზრი ხომ ძალიან მნიშვნელოვანია.

**დავით თავართქილაძე**

## ჯორჯ ბესტი განუმეორებელი მოთამაშე გარდაიცვალა







**საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას**
გენერალურ მდივან
ბატონ გრიგოლ ცაავას

ციურიხი, 16 ნოემბერი 2005 წელი

*მწვრთნელი ალენ ჟირესი, საფრანგეთი*
*საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, საქართველო ...*

ძვირფასო ბატონებო,

2005 წლის 5 სექტემბერს ფიფას მიმართა მწვრთნელმა ალენ ჟირესმა საფრანგეთიდან, მისი აუნაზღაურებელი ხელფასის თაობაზე. 2004 წლის 30 აპრილს გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, ჟირესი თქვენს ფედერაციას თანხის ანაზღაურებას სთხოვს.

ბატონი ჟირესის გაკეთებული კომენტარების საფუძველზე, ჩანს, რომ გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას მომჩივანი მწვრთნელისთვის ჯერ კიდევ მართებს 136 192 აშშ დოლარი.

ამასთან დაკავშირებით, გთხოვთ, გადაიხადოთ აღნიშნული თანხა 2005 წლის 2 დეკემბრამდე ან ამავე ვადაში გამოხატოთ თქვენი პოზიცია აღნიშნულთან დაკავშირებით. ასევე დაურთეთ თქვენთვის სასარგებლო დოკუმენტაცია და, თუ საჭიროება მოითხოვს, აღნიშნული დოკუმენტაცია გადაითარგმნოს ფიფას ოფიციალურ ენებზე (ინგლისურად, ესპანურად, ფრანგულად, გერმანულად).

ასლი გაუგზავნეთ მწვრთნელ ალენ ჟირესს, სწრაფი კომუნიკაციისთვის.

გმადლობთ, ყურადღებისთვის ზემოთ აღნიშნულთან დაკავშირებით.

**გულწრფელად თქვენი,**
**მოთამაშეთა სტატუსის კომიტეტის სახელით**
**ფილიპ ბრიუშვეილერი**

# რაო, ბილარდო?!
## დიდცხვირა ლეგენდა: კიდევ ერთი კანდიდატი



**გავყევით** საქართველოს ნაკრების მწვრთნელობის კანდიდატებს, გავყევით, გავყევით და, ჰოი, საოცრებავ, სადამდე მივედით — არგენტინელი კარლოს ბილარდო. ეს ინფორმაცია გუშინ შევიტყვეთ, ყველაფერი კი ასე იყო:

მავანი აგენტი დაუკავშირდა ამჟამად უმუშევარ ბილარდოს და საქართველოს ნაკრების გაწვრთნის პერსპექტივაზე დაეკითხა. ლეგენდარულმა არგენტინელმა სპეციალისტმა მზადყოფნა გამოთქვა, კი ბატონო, მზად ვარ, ფინანსურ და სხვა საკითხებზე მოლაპარაკება დავიწყოთო.

რა თქმა უნდა, საქმის კურსშია სფფ-ის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაციც და, თუ მანაც მზადყოფნა გამოთქვა, მაშინ მოლაპარაკება უახლოეს დღეებში დაიწყება. ასე რომ, კანდიდატთა სიას კიდევ ერთი მწვრთნელი შეემატა და თანაც, როგორი...

66 წლის კარლოს სალვადორ ბილარდო რა დონის სპეციალისტი იყო და რა სიმაღლეებს შესწვდომია, არ ვთქვათ? სწორედ ბილარდო გახლდათ არგენტინის ნაკრების მთავარი მწვრთნელი 1986 წელს, როცა დიეგო მარადონას სასწაულებმა სამხრეთამერიკელები მსოფლიოს ჩემპიონები გახადა. ოთხი წლის შემდეგ ბილარდოს ნაკრები ისევ გავიდა მუნდიალის ფინალში, სადაც გერმანელებთან წააგო.

მას შემდეგ ბილარდოს სამწვრთნელო მიღწევები „მიჩუმდა" — იგი ესპანურ „სევილიაში", ლიბიის ნაკრებში, ბოლოს კი 2003-04 წლებში არგენტინულ „ესტუდიანტესს" წვრთნიდა.

**ლუკა თალაკვაძე**

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

საქართველოს პირველი ლიგა ჩემპიონატი — 17 პირველი წრე — 16 ტური

| |
|---|
| ლოკომოტივი 2 1:3 თბილისი 2 |
| რუსთავი 1:3 მერანი |
| მაღაროელი 0:1 ვიტ ჯორჯია 2 |
| ამერი 2 1:0 საგარეჯო |
| ჩიხურა 3:1 დინამო 2 |
| მეშახტე 2:0 ზუგდიდი |
| მესხეთი 5:1 ლიახვი |
| მეშაქრე 0:1 ზესტაფონი 2 |
| გურია 1:2 გაგრა |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩიხურა | 16 | 12 | 2 | 2 | 49:19 | 38 |
| მერანი | 16 | 11 | 3 | 2 | 26:10 | 36 |
| ამერი 2 | 16 | 10 | 1 | 5 | 25:14 | 31 |
| დინამო 2 | 16 | 9 | 3 | 4 | 27:11 | 30 |
| მეშაქრე | 16 | 9 | 3 | 4 | 28:14 | 30 |
| რუსთავი | 16 | 8 | 4 | 4 | 28:18 | 28 |
| გაგრა | 15 | 7 | 5 | 3 | 20:13 | 26 |
| მესხეთი | 16 | 7 | 4 | 5 | 23:19 | 25 |
| გურია | 16 | 7 | 3 | 6 | 26:19 | 24 |
| მეშახტე | 16 | 6 | 6 | 4 | 18:11 | 24 |
| საგარეჯო | 16 | 6 | 3 | 7 | 16:16 | 21 |
| ზუგდიდი | 16 | 5 | 4 | 7 | 7:13 | 19 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 16 | 5 | 3 | 8 | 13:19 | 18 |
| თბილისი 2 | 16 | 4 | 3 | 9 | 17:29 | 15 |
| ლოკომოტივი 2 | 16 | 4 | 1 | 11 | 13:33 | 13 |
| ზესტაფონი 2 | 15 | 4 | 0 | 11 | 13:30 | 12 |
| მაღაროელი | 16 | 2 | 2 | 12 | 10:39 | 8 |
| ლიახვი | 16 | 2 | 0 | 14 | 13:45 | 6 |

### გერმანია
II ბუნდესლიგა. XIV ტური
ბურგჰაუზენი 0:4 ბოხუმი
აუე 0:2 ბრაუნშვაიგი
ზაარბრიუკენი — დინამო გადაიდო
ჩრდილოეთ რეგიონალლიგა
XVIII ტური
კილი 3:3 დიუსელდორფი
მიუნსტერი — ლევერკუზენი (მ) გადაიდო
ესენი 5:0 ერფურტი
სამხრეთ რეგიონალლიგა
XVII ტური
შტუტგარტი (მ) 3:0 ელვერსბერგი
მიუნხენი (მ) 0:1 კობლენცი
ტრირი 0:1 ბაიერნი (მ)

### ავსტრია
I დივიზიონი. XX ტური
ავსტრია (ლ) 2:0 ლინცერი
გრატკორნი 1:1 ლეობენი
კაპფენბერგი 1:2 ალტახი
კერნტენი 3:0 ავსტრია (მ)
კუფშტაინი — შვაინფტადტი გადაიდო

### პოლონეთი
პირველი ლიგა. XV ტური
ლეხი 1:1 პოგონი

### იტალია
სერია B. XVII ტური
მოდენა 2:2 ჩეზენა

### თურქეთი
სუპერლიგა. XIV ტური
ტრაბზონი 3:1 რიზე

### საფრანგეთი
პირველი დივიზიონი
XVI ტური
ლე მანი 0:2 ოსერი
მეორე დივიზიონი
XVII ტური
კლერმონი 0:1 მონპელიე
დიჟონი 1:2 ბრესტი
გენიონი 1:0 ლე ავრი
გენგამი 0:2 ლავალი
ისტრი 1:4 ვალანსიენი
ლორიანი 0:0 კრეტეი
სეტე 1:1 რეიმსი
კაენი 4:1 ბასტია

### ჰოლანდია
ერედივიზიონი
XIII ტური
ბრედა — გრონინგენი გადაიდო
მეორე დივიზიონი
XIX ტური
მაასტრიხტი 1:2 ჰაარლემი
დორდრეხტი — ალმერე გადაიდო
აპელდორნი — ტელსტარი გადაიდო
გრააფსხაპი — ზვოლე გადაიდო
ექსელსიორი — სიტარდი გადაიდო
დენ ბოსხი — კამბური გადაიდო
ეინდჰოვენი — ემენი გადაიდო
ვოლენდამი — ოსი გადაიდო
იგლსი — ვენლო გადაიდო
ვეენდამი — ჰელმონდი გადაიდო

### პორტუგალია
სუპერლიგა. XII ტური
ნასიონალი 1:0 ბრაგა

# რატიმ დაიწყო
## ისევ ფეხბურთი მინდა

**რატი ალექსიძე** არ თმობს და ფეხბურთს უბრუნდება — თბილისის „დინამოს", ლონდონის „ჩელსის" და რუსული „როსტოვის" ყოფილი შემტევი თითქმის ერთწლიანი პაუზის შემდეგ კუნთებს ავარჯიშებს.

ალექსიძე 28 წლისაა, ეროვნულ ნაკრებში 19 მატჩი უთამაშია და 2 გოლი გაუტანია. წლეულს, ახალი წლის დღეებში რატი ავტოავარიაში მოჰყვა და ტვინის შერყევა მიიღო, რის შემდეგაც სრულფასოვნად არ უვარჯიშია და, ფაქტობრივად, ფეხბურთს ჩამოშორებული იყო.

— ორი კვირაა, ვარჯიში დავიწყე. კუს ტბაზე დავრბივარ და მინი-ფეხბურთს ვთამაშობ. „ჩელსის" პროგრამით ვხელმძღვანელობ, რომელიც განკუთვნილია კარგა ხნით უვარჯიშებელი და უთამაშებელი ფეხბურთელებისთვის. ალბათ, იცით, რომ იურიდიულად კვლავ „როსტოვს" ვეკუთვნი, გათავისუფლების ფურცელი არ მაქვს. აგენტ მამუკა ჯულელს ვთხოვე დახმარება და იმედი მაქვს, რომ „როსტოვთან" საქმეს მოვაგვარებ. ყველაფერს გავაკეთებ, ფეხბურთს რომ დავუბრუნდე — გვითხრა ალექსიძემ.

**დავით თავართქილაძე**



# თანამეგობრობის თასი 2006:
## ცივი მოსკოვიდან კრასნო-დარში

**2006 წლის** თანამეგობრობის თასის გათამაშებას შესაძლოა კრასნოდარის მხარემ უმასპინძლოს. ამის თაობაზე რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტმა ვიტალი მუტკომ და კრასნოდარის მხარის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარემ ივან პერონკომ შეხვედრისას ისაუბრეს.

პერონკოს თქმით, რუსული ფეხბურთის თავი მას ამ საკითხის განხილვას დაჰპირდა და ისიც აღნიშნა, რომ უკვე მზადაა, ტურნირის სამასპინძლოდ.

წინასწარი გეგმით, თუ ასეთი წინადადება მისაღები გამოდგა, მატჩები კრასნოდარში, სოჭში, კრიმსკში, ანაპაში და სტანიცა პოლტავაში ჩატარდება.

შევახსენებთ, რომ მოახლოებულ თანამეგობრობის თასზე, რომელიც 2006 წლის იანვარში უნდა გაიმართოს, საქართველოდან თბილისის „დინამო" ითამაშებს.

**კახა შალამბერიძე**

# ტორპედომ კალაძეს ხელი დაუქნია



**მოსკოვის** „ტორპედოს" განცხადებით, კლუბი აღარ გაუგრძელებს კონტრაქტს რვა ფეხბურთელს, რომელთა შორის ქართველი მცველი ანზორ კალაძეცაა.

20 წლის კალაძე რამდენიმე თვის წინ ჩაირიცხა „ტორპედოში" და სარეზერვო გუნდში რეგულარულად თამაშობდა კიდევ ერთ ქართველ ბექა ჟღენტთან ერთად, თუმცა მოსკოვური კლუბის ხელმძღვანელობამ წინასაახალსეზონო წმენდა დაიწყო და კალაძესაც შეელივნენ.

შევახსენებთ, რომ რუსეთში წასვლამდე კალაძე „თბილისში" თამაშობდა...

**კახა შალამბერიძე**

უეფას თასზე ერთი თამაშიც და, მოსკოვის „ლოკომოტივი“ სეზონს დაასრულებს. ეს წელი რკინიგზული კლუბისთვის არცთუ წარმატებული გამოდგა — პრემიერლიგაში მესამე ადგილზე გავიდა და ბოლო ორი თვეა, მთლად დამაჯერებლად ვერ თამაშობს. თუმცა იგივეს ვერ ვიტყვით მალხაზ ასათიანზე, ვინც ყველაზე მეტჯერ, თერთმეტჯერ მოხვდა ტურის სიმბოლურ ნაკრებში.

„ლოკომოტივის“ ქართველ ლიდერს მოსკოვში შევეხმიანეთ და საკლუბოს გარდა სანაკრებო ამბებზეც დავეკითხეთ...



# რუსული არითმეტიკა მალხაზ ასათიანისთვის: 11=0

## ჩემი საქმე ნაკრებზე ლაპარაკი კი არა, თამაშია

— როგორი იყო ეს სეზონი მალხაზ ასათიანისთვის?

— შეიძლება ითქვას, წარუმატებელი. მართალია, ხანდახან კარგი მატჩებიც მქონდა, მაგრამ მთლიანობაში უკმაყოფილო ვარ.

— ძალიან თვითკრიტიკული ხომ არ ხარ?

— ამას გუნდის შედეგებიდან გამომდინარე ვამბობ. მესამე ადგილს იმდენად ცუდ შედეგად მივიჩნევ, რომ ჩემი თამაშის სხვანაირად შეფასება არ შემიძლია.

— მაშინ ასე გკითხავ: საკუთარი თამაშით კმაყოფილი ხარ?

— ბოლომდე კმაყოფილი არასოდეს ვარ. კიდევ უნდა მოვუმატო.

— მაინც რა დაემართა „ლოკომოტივს“?

— პასუხი ერთადერთია: ჩვენი ყველაზე დიდი პრობლემა გადაღლა იყო.

— ტურის სიმბოლურ ნაკრებში ჟურნალისტებმა ყველაზე მეტჯერ, თერთმეტჯერ დაგასახელეს. ამ დროს კი სეზონის სიმბოლურ ნაკრებში ვერ მოხვდი — ამაში უცნაურობას ვერ ხედავ?

— ალბათ ესეც გუნდის ჩავარდნის ბრალია, სხვა მიზეზს ვერ ვხედავ.

— როგორ ფიქრობ, კიდევ რამდენ ხანს უნდა ითამაშო რუსეთის ჩემპიონატში? როდის მოვა ის დრო, როცა პრემიერლიგის დატოვებას დააპირებ?

— „ლოკომოტივთან“ კონტრაქტის ორი წელი კიდევ დამრჩა და ვნახოთ... ახლა ამაზე საერთოდ არ ვფიქრობ.

— ანუ თვლი, რომ რუსეთში ზრდას კიდევ შეძლებ?

— ყოველ შემთხვევაში, რეალური წინადადება ჯერ არ მაქვს, თუმც სანერვიულოსაც ვერაფერს ვხედავ. ჩემი საქმე ფეხბურთის თამაშია და „ლოკომოტივი“ ამ მხრივ ჯერჯერობით მაკმაყოფილებს, დანარჩენი მერე გამოჩნდება.

— აქა-იქ ითქვა, ასათიანის გადაბირებას იური სიომინის მოსკოვის „დინამო“ აპირებსო...

— ეს მეც გავიგე, ოღონდ მხოლოდ გაზეთებიდან. რეალური არაფერია.

— რომ იყოს?!

— „ლოკომოტივთან“ კონტრაქტი მაქვს.

— პრემიერლიგის ბოლო ტურში „სპარტაკის“ პოლონელ მეკარე ვოიცეხ კოვალევსკისთან საკმაოდ მძაფრი შელაპარაკება მოგივიდა — რას იტყვი ამის თაობაზე?

— არაფერს, ეს თემა ამოიწურა და მტყუან-მართალის გარკვევას ახლა აზრი არა აქვს.

— ლოკომოტიველ ქართველებზეც ვთქვათ: ჩანს, მათე ღვინიანიძეს და გიორგი ჭელიძეს ხელმძღვანელობა ენდობა...

— მათეს ფეხის ტრავმამ ბევრი დააკარგვინა, გიორგიმ კი ძალიან მოუმატა და შანსიც მისცეს. ბოლო ტურში კი სულაც სასწაულის მოხდენა შეეძლო — „სპარტაკთან“ ის მომენტი რომ გამოეყენებინა, ახლა „ლოკომოტივს“ მისი ფასი არავინ ექნებოდა. თუმც არა უშავს, ფეხბურთში ასეთები უამრავჯერ მომხდარა. თამაშის მერე მას მწვრთნელი და პრეზიდენტი შეხვდნენ, ხელი ჩამოართვეს და გაამხნევეს. იმედია, გიორგი კიდევ უფრო მოუმატებს და ძირითად შემადგენლობაში ადგილს მოიპოვებს. მჯერა, ასე იქნება.

— ბოლო მატჩებში სულ გამთამაშებლად იყავი, მცველობას ხომ არ ემშვიდობები?

— ძალიან უბრალო რამეს ვამბობ, მაგრამ... სადაც გუნდს დასჭირდება, მზად ვარ, იქ ვითამაშო. ბოლოს ნახევარდაცვაში დავჭირდი და მეც წინ წავედი. ამას არსებით მნიშვნელობას უკვე აღარ ვანიჭებ.

— „ლოკომოტივში“ წარუმატებელი სეზონი მქონდაო, თქვი და ნაკრებზე რომ გკითხავ, რაღა უნდა მიპასუხო...

— სათქმელი არაფერია, ყველამ იცის, რომ ნაკრებმა ამ შესარჩევში ძალიან ცუდად ითამაშა.

— მაინც რომელი მატჩები დაგამახსოვრდა ყველაზე მეტად?

— ასეთს ოთხს ვიხსენებ — სტუმრად თურქეთთან და შინ დანიასთან, ალბანეთთან და უკრაინასთან.

— ახლა ნაკრები უმწვრთნელოდაა და ისევე, როგორც მთელი საქართველო, ალბათ შენც ფიქრობ, რომ უცხოელი მწვრთნელია საჭირო...

— ეს ფედერაციის გადასაწყვეტია. ასეთ თემებზე ლაპარაკი არ მიყვარს. ვისაც დანიშნავენ, მწვრთნელიც ის იქნება, მე ვერაფერს შევცვლი.

**ბაჩა შალამბერიძე**

# ლევანი ურტყამს საჭმერ

გელზენკირხენის „შალკე 04“-ის ნახევარმცველმა ლევან კობიაშვილმა თავისი პირველი ჰეთ თრიქი შეასრულა ჩემპიონთა ლიგაში პსვ-სთან და ორივე გუნდის თავკაცობამ მისი ოსტატობა სათანადოდ შეაფასა.

კობიაშვილი თავმდაბალი ადამიანია და, როგორც წესი, ცდილობს, გაერიდოს ჟურნალისტთა ყურადღებას, მაგრამ პსვ-სთან მატჩის შემდეგ ამას ველარ იზამდა და ჟურნალისტთა კითხვებს პასუხობდა — სწორედ კობიაშვილის გოლებით გაუჩნდა „შალკეს“ მომდევნო ეტაპზე თამაშის შანსი.

„არ მახსოვს, მანამდე თუ გამიტანია სამი გოლი ერთ შეხვედრაში, ალბათ, ეს მხოლოდ ვარჯიშზე მომიხერხებია“ — თქვა „შალკეს“ ნახევარმცველმა, რომელიც მიჩვეულია ნახევარდაცვის ცენტრში და დაცვის მარცხენა ფლანგზე თამაშს, თუმცა გუნდის მწვრთნელის რალფ რანგნიკის გადაწყვეტილებამ მალევე მოიტანა შედეგი — კობიაშვილს მან ნახევარდაცვის მარცხენა ფლანგი ჩააბარა.

28 წლის ჰავბეკმა პსვ-სთან აუღელვებლად და თავდაჯერებულად შეასრულა ორი პენალტი. შესაძლოა, ყოფილ ფრაიბურგელს თვითონ გაუკვირდა მომხდარი, მაგრამ მისი თანაგუნდელებისთვის ეს სიურპრიზი არ იყო. „კობი ძალიან მშვიდი ადამიანია, არავის და არაფერს შეუძლია მისი წყობიდან გამოყვანა და პირველ რიგში სწორედ ამის გამო ასრულებს 11-მეტრიანებს კარგად“ — განაცხადა „შალკეს“ მეკარე ფრანკ როსტმა.

რანგნიკს მიაჩნია, რომ კობიაშვილს შეუძლია, „შალკეს“ შტატიანი პენალტისტი გახდეს. „მატჩამდე არ მოგვილაპარაკებია იმაზე, თუ ვინ დაარტყამდა 11-მეტრიანს. ისე, მატჩის წინა დღეს ვარჯიშზე კობიაშვილი წარმატებულად ასრულებდა პენალტებს“ — თქვა რანგნიკმა, ხოლო კობიაშვილი დასძენს: „საკუთარ ძალებში დარწმუნებული ვიყავი და ამიტომაც ვიკისრე ეს პასუხისმგებლობა. როგორც აღმოჩნდა, სწორი გადაწყვეტილება მივიღე“.

თანაგუნდელების გარდა კობიაშვილი შეაქო „შალკეს“ მთავარი მწვრთნელის ასისტენტმა და 1997-99 წლებში „შალკეს“ ერთ-ერთმა წამყვანმა ფეხბურთელმა რენე ეიკელკამპმაც: „ის შესანიშნავი ფეხბურთელია, ძალიან სახიფათოა შეტევაში და დიდებულად ურტყამს ცაციათი. ახლა კი ალბათ გონზე არ არის ბედნიერებისაგან, რადგან საკუთარი გულშემატკივრების თვალწინ ჰეთ თრიქის შესრულება განსაკუთრებული რამაა“.

თუ რაოდენ ფასეული მოთამაშეა კობიაშვილი „შალკესთვის“, ეს რანგნიკსაც კარგად ესმის: „ჩემგან არ არის საჭირო იმის თქმა, თუ რისი უნარი შესწევს მას, ყველამ ისედაც კარგად იცის, რაოდენ ოსტატური ფეხბურთელია კობიაშვილი. მან დაამტკიცა, რომ გუნდის ერთ-ერთი ლიდერია“.

„შალკეში“ გატარებულ ორ წელიწადში პსვ-თან მატჩამდე კობიაშვილს მხოლოდ სამი გოლი გაეტანა, ბოლოს ეს 12 თვის წინ მოახერხა და ამიტომ იყო, რომ ჩემპიონთა ლიგის წინა გათამაშების ნახევარფინალისტთან მისი ჰეთ თრიქი ბევრს გაუკვირდა. რანგნიკი განმარტავს, რომ მანამდე კობიაშვილი უფრო დაცვითი ფუნქციებით იყო დაკავებული: „ბოლო ერთი წელი ის მარცხენა მცველად და მისთვის უჩვეულო სხვა პოზიციებზეც თამაშობდა, რაც თანაგუნდელთა ტრავმიანობით იყო განპირობებული და სწორედ ამიტომ დასჭირდა მას დრო ადაპტაციისთვის“.

ლევანს მხოლოდ 18 წუთი დასჭირდა აკლიმატიზაციისთვის, სანამ პსვ-ს პირველ გოლს გაუტანდა. ჩემპიონთა ლიგის მეექვსე ტურში „შალკე“ „მილანს“ ხვდება და გელზენკირხენელებს იმედი აქვთ, რომ კობიაშვილი მათ ერთხელაც დაეხმარება.

**მარკ ბენეტი,**
**გელზენკირხენი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

ყოკა-კოლა გენერალური სპონსორი

# საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

პირველი წრე

## 15 ტური ანონსი



ბადრი კოთოლაშვილის ფოტო

პირველი წრის მაჟორულ ნოტაზე დასასრულებლად დავით იმედაშვილის (მარცხნივ) „ვიტ ჯორჯიას" დიმიტრი ფირცხალაიშვილის „ბათუმის" დამარცხება სჭირდება

თბილისი. 26 ნოემბერი. 14 საათი. ოლიმპი

### თბილისი — ამერი

მსაჯები: ზ. ანიაშვილი (გორი); გ. ცირდავა (გულრიფში), ლ. მიქელაძე (სამტრედია); ა. კრიჭაშვილი (თბილისი); ინსპექტორი: ნ. კაკულია

გორი. 26 ნოემბერი. 14 საათი. ძართლი

### ცხინვალი — კოლხეთი

მსაჯები: ა. მეშკოვი (თბილისი); ზ. ხუციშვილი (დმანისი), ნ. რუსიშვილი (ქუთაისი); ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა); ინსპექტორი: რ. ტალიაშვილი

მცხეთა. 26 ნოემბერი. 14 საათი. არმაზი

### ვიტ ჯორჯია — ბათუმი

მსაჯები: მ. მაისურაძე (თბილისი); გ. ჩიგოგიძე (სამტრედია), ა. სამხარაძე (სოხუმი); ლ. ფანიაშვილი (ორივე თბილისი); ინსპექტორი: მ. ჭელიძე

ბორჯომი. 26 ნოემბერი. 14 საათი. ჯემალ ზეინკლიშვილი

### ბორჯომი — დილა

მსაჯები: დ. სანაია (სოხუმი); დ. ხარიტონაშვილი (თბილისი), გ. დოგრაშვილი; გ. კიკაჩეიშვილი (ორივე ქუთაისი); ინსპექტორი: ა. დურსუნიში

ბოლნისი. 26 ნოემბერი. 14 საათი. თამაზ სტეფანია

### სიონი — ტორპედო

მსაჯები: ლ. სილაგავა; მ. ურუშაძე, მ. ბეუქლიშვილი (სამივე თბილისი); ა. ორდინიძე (ონი); ინსპექტორი: ზ. პეტრიაშვილი

ზესტაფონი. 27 ნოემბერი. 14 საათი. ცენტრალური

### ზესტაფონი — კახეთი

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; ზ. ჯვარიძე, ზ. მენთეშაშვილი (სამივე თბილისი); პ. დოგრაშვილი (ქუთაისი); ინსპექტორი: ა. მილჩენკო

თბილისი. 27 ნოემბერი. 14 საათი. ეროვნული

### დინამო — სოხუმი

მსაჯები: ლ. კვარაცხელია (ზუგდიდი); ა. ნონიკაშვილი, მ. ელიკაშვილი; გ. ვადაჭკორია (სამივე თბილისი); ინსპექტორი: ო. გუნთაძე

თბილისი. 28 ნოემბერი. 14 საათი. შევარდენი

### სპარტაკი — ლოკომოტივი

მსაჯები: ა. კრიჭაშვილი (თბილისი); კ. გაბრიაძე (ქუთაისი), ხ. გაგნიძე (გორი); გ. ასკაროვლი (ქარელი); ინსპექტორი: ე. სილაგავა

# ნუ იქნება ცალკარა

*ეს ერთიც და, საქართველოს ჩემპიონატი ზამთრის ძილს მიეცემა, ანუ დღეს-ხვალ-ზეგ პირველი წრის ბოლო ტურია და ყველას უნდა, 2005 წელი მოგებით დაასრულოს — ვინ იცის, სწორედ ამ ტურში მოპოვებულმა ან დაკარგულმა ქულებმა ჩემპიონატის ფინიშზე საბედისწეროდ მიუკაკუნოს გუნდს და თითზე აკბენინოს.*

*საინტერესო ტურიაო, რომ ვთქვათ, ცოტა გადამეტებული ხომ არ გამოგვივა? ისე მოხდა, რომ ლიდერი გუნდები ერთმანეთს ასცდნენ და, მოგვკალით, დიდი სენსაციების ილუზია არ გვაქვს — მომგებმა უნდა მოიგოს. ეს წესით, უწესოდ კი...*

ლიდერ „ვიტ ჯორჯიას" მცხეთაში ის „ბათუმი" ესტუმრება, რომელსაც, მწვრთნელ ოთარ გაბელიას თქმით, თამაში ეზარება და ამბიციაც არ გააჩნია. არადა, „ბათუმს" ახლა მყარი ფინანსური ზურგი აქვს, წესით, დასაზარი არაფერი უნდა ჰქონდეს, მაგრამ ზღვისპირელები სერიებად თამაშობენ — შეიძლება, ძლიერი დააჩოქონ, მერე კი აუტსაიდერს დაეჩაგვრინონ. ოთარ მარცვალაძეს კი გოლები გააქვს და გააქვს. 14 ტურში 14 ბურთი მოაგროვა და ვინძლო, არც დღეს გაჩერდეს. ვიტელებმა ფრეც რომ ითამაშონ, თებერვლამდე ლიდერებად დარჩებიან, თუმც რა დროს ფრეა...

ბოლნისის „სიონი", ალბათ, შეინარჩუნებს მეორე პოზიციას, რადგან არცთუ ღონიერ „ტორპედოს" მასპინძლობს, ასეთებთან კი ხვიჩა ქასრაშვილის ბიჭები ქულებს არ კარგავენ. ის კი არა, „თამაზ სტეფანიაზე" „სიონის" შემჩერებელი ვერავინ გამოიძებნა. დოლიძე, მიკუჩაძე, დვალი, ბოლქვაძე — აქედან ნებისმიერს შეუძლია თამაშის ბედის გადაწყვეტა. „ტორპედო" კი, ცხადია, ბრძოლას აპირებს. სხვა თუ არაფერი, ქუთათურებს ქინიან თამაშს ვერ დაუწუნებს კაცი...

„ამერი" მაჩაჩალა „თბილისს" ეთამაშება ისნის „ოლიმპზე" და გუნდს, რომელსაც 24 ქულით უსწრებს, დიახაც, უნდა მოუგოს. თუმც გიორგი დევდარიანის ყმაწვილებმა ეს ღარიბი 4 ქულა სწორედ ბოლო ორ თამაშში აიღეს და ზეორეც, ამერელთა თავკაცი გიორგი ჩიხრაძე დისკვალიფიკაციის გამო ტრიბუნებიდან თუ წარმართავს თამაშს. რა თქმა უნდა, ბევრს გაეცინება, რომელი „რკინის არგუმენტები" ესენიაო. ჩვენც ისე, სასხვათაშორისოდ აღვნიშნეთ, თორემ, ცხადია, გლდანელები ფავორიტები არიან.

„ბორჯომი" შინ, ხელოვნურსაფარიან მინდორზე თამაშობს და, ალბათ, დიდი საფეხბურთო ხელოვნება არ დასჭირდება მეზობელი „დილას" წასაქცევად. ფინანსურად უძლური გორელები ყველა თამაშში იბრძვიან, გაჭირვებას არ იტყობენ, მაგრამ ძალა რომ ალმართს ხნავს, ხომ იცით — სოსო ფრუიძის ბიჭებმა ბოლო 6 მატჩიდან 4 წააგეს და ზედმეტის უფლებას არ მისცემენ თავს...

შაბათის (და მთლიანად ტურის) ყველაზე გამოუცნობი მატჩი „ცხინვალი" — „კოლხეთია", სადაც სამივე შედეგია მოსალოდნელი. ეგაა, ამ სამიდან ვერც ერთი შედეგი ვერ იქონიებს დიდ გავლენას ცხრილზე... კოლხთა მთავარი იმედი ზვიად ქუთათელაძე კი ბოლოხანს გადაეჩვია გოლებს და ეგებ ახლა გაიხსენოს ხელობა.

ხვალ თემურ მახარაძის „ზესტაფონი" „კახეთს" მოლდოველი სერგეი ნუდნის გარეშე დაუხვდება, თუმცა თელაველებს ერთბაშად სამი წამყვანი მოთამაშე ჰყავთ დისკვალიფიცირებული და შანსების გასჯას ნულარ დავიწყებთ. თანაც ზესტაფონელი ზურაბ იონანიძე ახლა იმგვარ იშტაზეა, გოლები პანტაპუნტით გააქვს.

თბილისის „დინამო" მისთვის უჩვეულო, მეოთხე ადგილზეა და „სოხუმთან" იალიშს არ დაუშვებს. დინამოელებს 80 წლის იუბილე აქვთ და სიმბოლური იქნება, თუ ამ წელიწადს დაგეგმილი და თან საჭირო მოგებით დაასრულებენ. ისიც სათქმელია, რომ კახა ცხადაძეს ლამის ნახევარი შემადგენლობა ლაზარეთში ჰყავს, თუმცა არა გვგონია, „სოხუმთან" ეს გადაუჭრელ პრობლემად ექცეს.

და მაინც, ძნელი წარმოსადგენია, „დინამო" ამ ტურშივე მესამე საფეხურზე აცოცდეს — ერთი დღით, კი ბატონო, მაგრამ ორშაბათს ხომ სწორედ „საბრინჯაო" ადგილზე მყოფი „ლოკომოტივი" ბოლოსწინაზე „გამაგრებულ" „სპარტაკს" ხვდება „შევარდენზე"...

ისე, კარგი იქნება, თუ ცალკარობანა თამაშებს არ ვიხილავთ...

**ილია ნანობაშვილი**

**დისკვალიფიცირებულნი:**

გიორგი ჩიხრაძე (ამერის მთავარი მწვრთნელი)
მიხეილ ბარაბაძე (თბილისი)
ვეფხია ტარუღაშვილი (კახეთი)
გიგა იაშვილი (კახეთი)
ვასილ არუდაშვილი (კახეთი)
კობა კობალაძე (სპარტაკი)
ბექა ჩიტაია (ცხინვალი)
დავით ლოლუა (კოლხეთი)
ზვიად ჯელაძე (სოხუმი)
სერგეი ნუდნი (ზესტაფონი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიტ ჯორჯია | 14 | 11 | 2 | 1 | 33:10 | 35 |
| სიონი | 14 | 10 | 2 | 2 | 25:11 | 32 |
| ლოკომოტივი | 14 | 9 | 3 | 2 | 20:6 | 30 |
| დინამო | 14 | 9 | 2 | 3 | 21:7 | 29 |
| ამერი | 14 | 9 | 1 | 4 | 15:9 | 28 |
| ბორჯომი | 14 | 9 | 0 | 5 | 25:12 | 27 |
| ზესტაფონი | 14 | 7 | 3 | 4 | 14:11 | 24 |
| ბათუმი | 14 | 6 | 3 | 5 | 13:12 | 21 |
| კოლხეთი | 14 | 6 | 1 | 7 | 13:16 | 19 |
| დილა | 14 | 5 | 1 | 8 | 18:19 | 16 |
| კახეთი | 14 | 5 | 1 | 8 | 14:21 | 16 |
| ტორპედო | 14 | 3 | 4 | 7 | 9:14 | 13 |
| ცხინვალი | 14 | 3 | 3 | 8 | 9:23 | 12 |
| სოხუმი | 14 | 3 | 1 | 10 | 14:32 | 10 |
| სპარტაკი | 14 | 1 | 2 | 11 | 3:22 | 5 |
| თბილისი | 14 | 1 | 1 | 12 | 9:29 | 4 |

# უეფას თასი 2005-2006. ჯგუფური ეტაპი. III ტური




AFP ფოტოები

რომა — სტრასბური. იტალიელებმა ფრანგებს გოლი 73-ე წუთზე გაუქვითეს

## დონეცკში ოჯახური გააკეთეს

### A ჯგუფი

უეფას თასზე პირველი მარცხი „ჰამბურგმა" მონაკოში იგემა. მასპინძლებმა ტაიმების მიწურულს გაიტანეს თითო გოლი. შესვენებამდე ემანუელ ადებაიორმა კამელ მერიემის პასით იხეირა, მეორე ნახევრის ბოლოს კი ოლივიე ვინომ სეხნია სორლინის ჩაწოდებული ბურთი შეაგდო გერმანელთა კარში. ვინოს გოლამდე გიიომ ვარმუზთან უხეშობისთვის სტუმრებს მცველი ხალიდ ბულარუზი გაუძევეს. ამ მოგებით „მონაკომ" მერვედფინალში გასვლის შანსი შეინარჩუნა.

„ჰამბურგმა" მაინც შეინარჩუნა ჯგუფში ლიდერობა, რადგან მისმა მდევრებმა ფრე ითამაშეს. ნორვეგიული „ვიკინგი", რომელსაც როი ჰოჯსონი წვრთნის, პრაღის „სლავიას" შინ დაუზავდა. მასპინძლები ორჯერ დაწინაურდნენ, მაგრამ ჩეხებმა არ დაანებეს. მეორე ტაიმის დასაწყისში ვლჩეკმა გაათანაბრა, შეხვედრის ბოლოს კი პიტაკმა საჯარიმოს ხაზიდან საგოლედ გაისროლა.

### B ჯგუფი

„პალერმო" ბარსელონაში მარიანო გონსალესის გოლით დაწინაურდა, რომელმაც მასპინძელთა მეკარეს დაბალ კუთხეში გაუტანა. პირველი ტაიმი აშკარად სტუმრებისა იყო, მაგრამ შესვენების შემდეგ „ესპანიოლი" ივან დე ლა პენიამ „დაქოქა". „პალერმოს" მეკარე მატეო გუარდალბენმა რამდენჯერმე იხსნა გუნდი, თუმც ბოლო წუთზე მოიზესის დარტყმულს ვეღარ მისწვდა. „ესპანიოლის" არგენტინელმა ლეგიონერმა თავით ჩასვა ბურთი კარში.

### C ჯგუფი

„სამპდორიამ" პირველი გამარჯვება შვედეთში მოიპოვა. მიუხედავად იმისა, რომ „ჰალმსტადი" მალე დაწინაურდა, იტალიელებმა სამი გოლით უპასუხეს. ანგარიში დიურიჩმა გახსნა. სერჯო ვოლპიმ კი მოხდენილი საჯარიმო დარტყმით გაათანაბრა.

მეორე ტაიმში სამპდორიელ აიმო დიანას ოცი წუთი დასჭირდა დუბლის შესასრულებლად.

„ლანსმა", რომელიც ჩემპიონატში 15 მატჩიდან 10-ჯერ დაუზავდა მეტოქეს, უეფას თასზე პირველი ფრე გაახერხა ბერლინში „ჰერტასთან", თუმც მასპინძლებზე გაცილებით მეტი საგოლე მომენტი შექმნა.

### D ჯგუფი

„დნიპრომ" მესამე მატჩიც წააგო და ჯგუფში ჩარჩა. „ლიტექსი" მას შემდეგ დაწინაურდა, რაც მასპინძლებს მეორე ტაიმის დასაწყისში რადჩენკო გაუძევეს. სტუმართა სლოვენიელმა ლეგიონერმა ნოვაკოვიჩმა თავური დარტყმით გაიტანა, ხოლო შეხვედრის ბოლო წუთზე ნაზარენკომ ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა.

„მიდლსბრომ" „ალკმაართან" ქულა აიღო და მერვედფინალი გაინაღდა. აღსანიშნავია, რომ სტივ მაკლარენის გუნდს უეფას თასზე გოლი ჯერ არ გაუშვია.

### E ჯგუფი

„სტრასბურმა", რომელსაც საფრანგეთის ჩემპიონატში თამაში არ მოუგია, „რომას" ქულა ართვა და მერვედფინალში გავიდა. პირველ ტაიმში მასპინძელთაგან შაბანი ნონდას მართებდა გატანა, მაგრამ ახლოდან თავი ბურთს უხეიროდ დაჰკრა. სტუმრებს კი უფრო ნაღდი შანსი ჰქონდათ, როცა ალექსანდრ ფარნერუდი კურჩისთან პირისპირ გავიდა, თუმც მეკარეს ვერ აჯობა.

ფრანგები მეორე ტაიმში 19 წლის ჰაბიბ ბელაიდმა დააწინაურა, რომლისთვისაც ეს გოლი კარიერაში პირველი გამოდგა. კონტრაქტის გამო კლუბთან ნაჩხუბარმა ანტონიო კასანომ ნონდას პასით გაათანაბრა.

„ცრვენა ზვეზდამ" მეორე თამაშიც წააგო და საქმე გაირთულა. ბელგრადელები ნორვეგიაში „ტრომსიოსთან" დამარცხდნენ.

### F ჯგუფი

„მარსელმა" ბოლო წუთზე გატანილი პენალტის წყალობით „ჰერენვენს" სძლია და შემდეგ ეტაპზე გავიდა. მთელი მატჩის განმავლობაში მასპინძელთა უპირატესობა აშკარა იყო, მაგრამ საგოლე მომენტებს ანიავებდნენ. შეხვედრის მიწურულს მარსელელები მეტოქის საჯარიმოს შეესივნენ და მამადუ ნიანგის წაქცევისთვის მსაჯმა პენალტი დანიშნა, რომელიც ტაი ტაივუმ გამოიყენა.

უეფას თასის მფლობელმა, მოსკოვის ცსკა-მ ვაგნერ ლავის დუბლით „ლევსკის" აჯობა. ბრაზილიელის მეორე გოლი კოხტა გამოვიდა, მან რამდენიმე მცველი ჩამოიშორა და ბურთი კარში ისე შეაგორა. ბულგარელმა დომოვჩისკიმ მოგვიანებით ერთის გაქვითვა მოახერხა.

### G ჯგუფი

დონეცკში მამა-შვილი ლუჩესკუები დაეჯახნენ. მირჩას გუნდმა „შახტარმა" რაზვანის „რაპიდთან" წააგო. „აქამდე ვერც კი გავიაზრე, რომ მამაჩემის გუნდს ვხვდებოდი" — თქვა ნამატჩევს შვილმა ლუჩესკუმ.

მატჩს მირჩას მეუღლე, ნელი, და რაზვანის შვილი დაესწრნენ. თამაშამდე ნელიმ თქვა: „ყველაზე უბედური მე ვარ, რადგან არ ვიცი, რომელს ვუქომაგო". შვილიშვილმა მატეიმ კი ბაბუას მხარე დაიჭირა, რადგან ხშირად სტუმრობს დონეცკში. 60 წლის მირჩა ლუჩესკურთვის ეს მატჩი ევროთასებზე 101-ე გამოდგა და მარცხით დასრულდა. რაპიდელმა მალდარასანუმ ნაკუთხურალზე იხეირა და ათიოდ მეტრიდან გაუტანა ლაშტუვკას.

სალონიკში „შტუტგარმა" დანიელ ლიუბოიას დუბლით პაოკ-ს სძლია. ლიუბოიამ შეხვედრის ბოლო ხუთ წუთში ორი გოლი მიითვალა, მიუხედავად იმისა, რომ სტუმრებს 75-ე წუთზე სილვიო მაისნერი გაუძევეს. ანგარიში კარიპიდისმა გახსნა, ლიუბოიამ კი ჯერ 25 მეტრიდან გაიტანა, მერე პენალტითაც იხეირა.

### H ჯგუფი

19 წლის პორტუგალიელმა რიკარდუ ვაზ ტემ საუცხოო გოლი გაუტანა „გიმარაეშს" და „ბოლტონს" ქულა გადაურჩინა. ვაზ ტე 87-ე წუთზე შეცვლაზე შევიდა და წუთიც კი არ დასჭირდა გოლის გასაფორმებლად. მანამდე მასპინძლები საგანოვსკის წყალობით იგებდნენ, მაგრამ მათი სიხარული პორტუგალიელმა ყმაწვილმა უმალ გაანელა.

სანკტ პეტერბურგში „ზენიტმა" ალექსანდრ კერჟაკოვის დუბლით იმარჯვა. ნევისპირელთა ფორვარდმა შეხვედრის დასაწყის-დასასრულში თითოჯერ იხეირა, ხოლო სევილიელმა პუერტამ ერთის გაქვითვა მოახერხა.

**ვაჟა ხუციშვილი**

### A ჯგუფი

**ვიკინგი (ნორვეგია) 2:2 სლავია (ჩეხეთი)**

1:0 ნლეკო (26), 1:1 ვლჩეკი (52), 2:1 გაარდე (55), 2:2 პიტაკი (83)

**მონაკო (საფრანგეთი) 2:0 ჰამბურგი (გერმანია)**

1:0 ადებაიორი (44), 2:0 ვინო (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰამბურგი | 3 | 2 | 0 | 1 | 3:2 | 6 |
| სლავია | 2 | 1 | 1 | 0 | 6:4 | 4 |
| ვიკინგი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:4 | 4 |
| მონაკო | 2 | 1 | 0 | 1 | 2:1 | 3 |
| ცსკა | 2 | 0 | 0 | 2 | 2:5 | 0 |

### B ჯგუფი

**ესპანიოლი (ესპანეთი) 1:1 პალერმო (იტალია)**

0:1 მ. გონსალესი (44), 1:1 მოიზესი (90)

**ლოკომოტივი (რუსეთი) 1:1 ბრონდბიუ (დანია)**

0:1 რეტოვი (12), 0:2 სკოუბო (28), 1:2 ლოსკოვი (60), 2:2 ლებედენკო (63), 3:2, 4:2 ლოსკოვი (64, 84)

ლოკომოტივი: ოვჩინიკოვი, ევსეევი, პაშინინი, ასათიანი, სენიკოვი, გურენკო, ბიკეი, სამედოვი (რუოპოლო 32), ლოსკოვი, ბილიალეტდინოვი, ლებედენკო (ბუგაევი 90)

მწვრთნელი: ვლადიმირ ეშტრეკოვი

მსაჯი: ფრანც-ქსავიერ ვაკი (გერმანია)

30 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პალერმო | 3 | 1 | 2 | 0 | 3:2 | 5 |
| ლოკომოტივი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:3 | 4 |
| ესპანიოლი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| ბრონდბიუ | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 3 |
| მაკაბი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | 0 |

### C ჯგუფი

**ჰალმსტადი (შვედეთი) 1:3 სამპდორია (იტალია)**

1:0 დიურიჩი (18), 1:1 ვოლპი (31), 1:2, 1:3 დიანა (67, 87)

**ჰერტა (გერმანია) 0:0 ლანსი (საფრანგეთი)**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტიაუა | 2 | 1 | 1 | 0 | 4:0 | 4 |
| სამპდორია | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| ლანსი | 3 | 1 | 1 | 1 | 5:4 | 4 |
| ჰერტა | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 4 |
| ჰალმსტადი | 3 | 0 | 0 | 3 | 1:9 | 0 |

### D ჯგუფი

**ალკმაარი (ჰოლანდია) 0:0 მიდლსბრო (ინგლისი)**

ალკმაარი: ტიმერი, სტეინსონი, იალენსი, მატიისენი, დე კლერი, ლანძაატი, შაარსი, სეკტოუ (მეერდინკი 61), ვან გალენი, კ. პერესი, არველაძე (კოევერმანსი 77)

მწვრთნელი: ლუის ვან გაალი

მსაჯი: ჯანლუკა პაპარესტა (იტალია)

8 436 მაყურებელი

**დნიპრო (უკრაინა) 0:2 ლიტექსი (ბულგარეთი)**

0:1 ნოვაკოვიჩი (72), 0:2 ნაზარენკო (90ს.კ.)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მიდლსბრო | 3 | 2 | 1 | 0 | 4:0 | 7 |
| ლიტექსი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 6 |
| ალკმაარი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| გრასჰოპერი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:3 | 0 |
| დნიპრო | 3 | 0 | 0 | 3 | 1:7 | 0 |

### E ჯგუფი

**ტრომსიო (ნორვეგია) 3:1 ცრვენა ზვეზდა (სერბეთი)**

1:0 ბერნიე (22), 1:1 ჟიგიჩი (23), 2:1, 3:1 არსტი (36, 74პ)

**რომა (იტალია) 1:1 სტრასბური (საფრანგეთი)**

0:1 ბელაიდი (52), 1:1 კასანო (73)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტრასბური | 3 | 2 | 1 | 0 | 5:1 | 7 |
| რომა | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| ტრომსიო | 3 | 1 | 0 | 2 | 4:5 | 3 |
| ბაზელი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| ცრვენა ზვეზდა | 2 | 0 | 0 | 2 | 2:5 | 0 |

### F ჯგუფი

**ცსკა (რუსეთი) 2:1 ლევსკი (ბულგარეთი)**

1:0, 2:0 ვაგნერ ლავი (49, 74), 2:1 დომოვჩისკი (90)

**მარსელი (საფრანგეთი) 1:0 ჰერენვენი (ჰოლანდია)**

1:0 ტაივუ (90პ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მარსელი | 2 | 2 | 0 | 0 | 3:1 | 6 |
| ცსკა | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| ლევსკი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ჰერენვენი | 3 | 0 | 2 | 1 | 0:1 | 2 |
| დინამო | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 1 |

### G ჯგუფი

**პაოკ (საბერძნეთი) 1:2 შტუტგარტი (გერმანია)**

1:0 კარიპიდისი (48), 1:1, 1:2 ლიუბოია (85, 90პ)

**შახტარი (უკრაინა) 0:1 რაპიდი (რუმინეთი)**

0:1 მალდარასანუ (89)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რაპიდი | 2 | 2 | 0 | 0 | 3:0 | 6 |
| შახტარი | 3 | 2 | 0 | 1 | 3:1 | 6 |
| შტუტგარტი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:3 | 6 |
| პაოკ | 2 | 0 | 0 | 2 | 1:3 | 0 |
| რენი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | 0 |

### H ჯგუფი

**ზენიტი (რუსეთი) 2:1 სევილია (ესპანეთი)**

1:0, 2:0 კერჟაკოვი (11, 88), 2:1 პუერტა (89)

**გიმარაეში (პორტუგალია) 1:1 ბოლტონი (ინგლისი)**

1:0 საგანოვსკი (85), 1:1 ვაზ ტე (88)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ზენიტი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:3 | 6 |
| ბოლტონი | 3 | 1 | 2 | 0 | 3:2 | 5 |
| სევილია | 2 | 1 | 0 | 1 | 4:2 | 3 |
| გიმარაეში | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| ბეშიქთაში | 2 | 0 | 1 | 1 | 1:4 | 1 |

| XIII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ლივორნო | : | კიევო |
| მილანი | : | ლეჩე |
| **ხვალ** | | |
| სიენა | : | რეჯინა |
| კალიარი | : | სამპდორია |
| იუვენტუსი | : | ტრევიზო |
| პარმა | : | უდინეზე |
| მესინა | : | ინტერი |
| ასკოლი | : | პალერმო |
| ემპოლი | : | ლაციო |
| რომა | : | ფიორენტინა |

**საღლეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 12 | 11 | 0 | 1 | 26:6 | 33 |
| მილანი | 12 | 9 | 1 | 2 | 27:12 | 28 |
| ფიორენტინა | 12 | 9 | 1 | 2 | 27:13 | 28 |
| ინტერი | 12 | 7 | 2 | 3 | 22:10 | 23 |
| სამპდორია | 12 | 6 | 2 | 4 | 23:17 | 20 |
| კიევო | 12 | 5 | 5 | 2 | 16:12 | 20 |
| რომა | 12 | 5 | 3 | 4 | 18:14 | 18 |
| ლივორნო | 12 | 5 | 3 | 4 | 11:15 | 18 |
| პალერმო | 12 | 4 | 5 | 3 | 19:18 | 17 |
| ემპოლი | 12 | 5 | 2 | 5 | 15:17 | 17 |
| უდინეზე | 12 | 5 | 2 | 5 | 13:16 | 17 |
| ლაციო | 12 | 4 | 4 | 4 | 13:15 | 16 |
| სიენა | 12 | 4 | 2 | 6 | 18:23 | 14 |
| ასკოლი | 12 | 2 | 6 | 4 | 12:15 | 12 |
| რეჯინა | 12 | 4 | 0 | 8 | 13:19 | 12 |
| პარმა | 12 | 3 | 3 | 6 | 12:19 | 12 |
| მესინა | 12 | 1 | 5 | 6 | 10:18 | 8 |
| ტრევიზო | 12 | 1 | 4 | 7 | 7:18 | 7 |
| ლეჩე | 12 | 2 | 1 | 9 | 8:21 | 7 |
| კალიარი | 12 | 0 | 5 | 7 | 8:20 | 5 |

## იტალია

*პაპუნა კედია*

# უყურე შენ ფიორენტინას?!



ლუკა ტონი „ფიორენტინას" უდავო ლიდერია

„**მილანი**" დღეს თამაშობს, საქართველოში შუაღამეს ნახევარი საათი რომ დააკლდება და ამიტომ მეცამეტე ტურზე საუბარი ჯობს მისი და „ლეჩეს" დაპირისპირებაზე საუბრით დავიწყოთ.

თუ ბოლო თამაშების მიხედვით ვიმსჯელებთ, როგორც ერთი, ასევე მეორე ყველანაირ შედეგს ახერხებს და ამიტომ მათთვის მხოლოდ მოგებათა ტალღაზე გადართვა მნიშვნელოვანი უნდა იყოს. მაგალითად, მილანელებმა „იუვენტუსს" და „უდინეზეს" ისე მოუგეს, მათი მომრევი თითქოს ვინლა უნდა ყოფილიყო, მაგრამ ბოლო ტურში ფლორენციაში „ფიორენტინასთან" ისე დამარცხდნენ, თითქოს ზემოხსენებული ორი თამაში მათ კი არა, სხვას ეთამაშოს. ერთი სიტყვით, „მილანს" მობილიზება მართებს, მითუფრო, რომ მარკოს კაფუ, მასიმო ამბროზინი, ჯენარო გატუზო და ბრაზილიელი კაკა დაშავებულები ჰყავს.

„ლეჩემ" წინა ტურში, პირიქით, საუცხოოდ ითამაშა და 3:0 მოუგო „სიენას", მაგრამ მანამდე ზედიზედ ხუთ შეხვედრაში გოლი არ ჰქონდა გატანილი.

რაც შეეხება „იუვენტუსს", იგი ხვალ, ტურინში „დელე ალპიზე" „ტრევიზოს" მასპინძლობს. რა შეიძლება ითქვას? რა და, „მილანისა" არ იყოს, წესით და რიგით არც „იუვემ" უნდა გაუშვას სამი ქულა ხელიდან. „ბებერმა ქალბატონმა" წინა უქმეებზე, რომში „რომას" ისეთი შთამბეჭდავი დღე დამართა, რომ ხალხს ეჭვი გაუჩნდა, მართლა მოტივირებულ ტურინელებს ნებისმიერი მოწინააღმდეგის დამარცხება შეუძლიათო — შეგახსენებთ, რომ „იუვენტუსი" წინა ტურში რომაელთა გამომწვევი გამონათქვამებით იყო გაღიზიანებული. რაც შეეხება შუა კვირაში გამართულ ჩემპიონთა ლიგის თამაშებს, „მილანმა" სტამბოლში „ფენერბაჰჩეს" 4:0 გადაუარა, ხოლო „იუვენტუსმა" „ბრიუგეს" მოუგო 1:0. ერთადერთი, „იუვენტუსს" ფრანგები, ლილიან ტურამი და პატრიკ ვიეირა არ ეყოლება. ისინი დისკვალიფიცირებულნი არიან.

ზემოთნახსენები და მესამე ადგილზე ამაყად წამოსკუპებული „ფიორენტინა" ასევე ზემოთნახსენებ „რომას" რომში ეთამაშება. ეს რაღას ნიშნავს? იმას, რომ „მილანთან" მოგების მერე ფლორენციელებმა „სტადიო ოლიმპიკოზეც" რომ გაიმარჯვონ, შეიძლება სკუდეტოსთვის ერთ-ერთ გამოკვეთილ მებრძოლებად ჩამოყალიბდნენ. და რა არგუმენტი აქვს „ფიორენტინას" იმისთვის, რომ რომში „ჯალოროსის" დამარცხების იმედი ჰქონდეს? ამ არგუმენტის მოსაყვანად დიდი ფიქრი ნამდვილად არ არის საჭირო: მიმდინარე ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი ლუკა ტონი. ის საუცხოო ფორმაშია.

ახლა, მოდი ვნახოთ „ინტერი", ვის შეჭამს „ინტერი"? ვფიქრობთ, „მესინას" დათან მართლა შეჭამს, მიუხედავად იმისა, რომ სტუმრად, სიცილიაზე თამაშობს. და კიდევ, დროა ბრაზილიელმა ვარსკვლავმა, ადრიანომ მისთვის ასეთი უჩვეულო უგოლო პერიოდი დაამთავროს. „მესინა" კი ძალიან ცუდ ადგილასაა ცხრილში და ურჩევნია, თავი შეაკლას „შავ-ლურჯებს".

| XIV ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| სიტი | : | ლივერპული |
| უიგანი | : | ტოტენჰემი |
| ასტონ ვილა | : | ჩარლტონი |
| სანდერლენდი | : | ბირმინგემი |
| არსენალი | : | ბლექბერნი |
| პორტსმუთი | : | ჩელსი |
| **ხვალ** | | |
| ევერტონი | : | ნიუკასლი |
| ფულემი | : | ბოლტონი |
| მიდლსბრო | : | ვესტ ბრომვიჩი |
| ვესტ ჰემი | : | მანჩესტერი |

**საღლეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 13 | 11 | 1 | 1 | 31:7 | 34 |
| უიგანი | 12 | 8 | 1 | 3 | 15:8 | 25 |
| მანჩესტერი | 12 | 7 | 3 | 2 | 19:12 | 24 |
| არსენალი | 12 | 7 | 2 | 3 | 19:10 | 23 |
| ბოლტონი | 12 | 7 | 2 | 3 | 14:11 | 23 |
| ტოტენჰემი | 13 | 5 | 6 | 2 | 14:9 | 21 |
| სიტი | 13 | 6 | 3 | 4 | 14:10 | 21 |
| ვესტ ჰემი | 12 | 5 | 4 | 3 | 15:10 | 19 |
| ლივერპული | 11 | 5 | 4 | 2 | 12:8 | 19 |
| ჩარლტონი | 12 | 6 | 1 | 5 | 17:17 | 19 |
| მიდლსბრო | 13 | 5 | 3 | 5 | 18:18 | 18 |
| ბლექბერნი | 13 | 5 | 3 | 5 | 15:15 | 18 |
| ნიუკასლი | 13 | 5 | 3 | 5 | 12:13 | 18 |
| ფულემი | 13 | 3 | 3 | 7 | 14:19 | 12 |
| ასტონ ვილა | 13 | 3 | 3 | 7 | 13:22 | 12 |
| ვესტ ბრომვიჩი | 13 | 3 | 2 | 8 | 13:22 | 11 |
| პორტსმუთი | 13 | 2 | 4 | 7 | 11:18 | 10 |
| ევერტონი | 12 | 3 | 1 | 8 | 4:16 | 10 |
| ბირმინგემი | 12 | 1 | 3 | 8 | 7:17 | 6 |
| სანდერლენდი | 13 | 1 | 2 | 10 | 12:27 | 5 |

## ინგლისი

*კოკი კანდელაკი*

# ყველა გზა ლონდონში მიდის







დიდიე დროგბა თუ ერნან კრესპო? ჟოზე მაურინიუს თავსატეხი გაუჩნდა

„**პორტსმუთმა**" მთავარი მწვრთნელი ალენ პერენი ქვეყნის უძლიერეს კლუბ „ჩელსისთან" მატჩამდე ორი დღით ადრე დაითხოვა. ლონდონური გუნდის მფლობელ მილან მანდარიჩის აზრით, ეს უკეთესიც არის, მას სასწაულის სჯერა. იმედიანადაა „პორტსმუთის" დროებითი თავკაცი ჯო ჯორდანიც.

„ჩელსის" კი მეტოქის პრობლემები თუ იმედები ნაკლებად აწუხებს და საკუთარ ძალებში დარწმუნებულია. ჟოზე მაურინიუ უფრო იმაზე ღელავს, რომ ვერ გადაუწყვეტია, რომელი ფორვარდი ათამაშოს — ლონდონელთა ძირითად თავდამსხმელად დიდიე დროგბა ითვლება, რომელიც ბოლომდე მომჯობინდა. არადა, ერნან კრესპოც მშვენიერ ფორმაშია.

„ანდერლეხტთან" მატჩში კრესპომ კიდევ ერთხელ დაგვიმტკიცა, რომ მსოფლიო დონის ფორვარდია. იგი თავის შანს მშვიდად ელოდება და შეუძლია, გოლი არაფრისგან გაიტანოს. სასიხარულოა, როდესაც შემადგენლობაში ასეთი ფეხბურთელი გყავს" — თქვა „ჩელსის" ახალგაზრდა გარემარბმა ჯო კოულმა.

კიდევ ერთი ლონდონური კლუბი „არსენალი" კი, ლიდერებს უკვე გვარიანად ჩამორჩა და ყველანაირად ეცდება, „ბლექბერნთან" ქულები აღარ დაკარგოს. „მეთოფეებს" იენს ლემანი და ჟილბერტო დაუბრუნდათ, ხოლო მათ მეტოქეს — ბრეტ ემერტონი და ლუკას ნილი.

„მგონი, ფორმა აღვიდგინეთ და ასე უნდა გავაგრძელოთ. შანსი კიდევ არის, თუ ერთ გუნდად შევიკვრებით და ქულებს ტყუილად აღარ გავფლანგავთ" — განაცხადა „არსენალის" ახალგაზრდა ვარსკვლავმა რობინ ვან პერსიმ.

საინტერესო მატჩი გველის მანჩესტერში, სადაც „სიტი" „ლივერპულს" მასპინძლობს. აღვნიშნოთ, რომ მერსისაიდელთა ყოფილა ფორვარდი რობი ფაულერი სტუარტ პირსს სათადარიგოთა სკამზე ეყოლება. მან ტრავმა ახლახან მოიშუშა და „სიტის" მთავარ მწვრთნელს გარისკვა არ სურს.

„ნელ-ნელა სახიფათო მომენტების გამოყენება და მატჩების მოგება დავიწყეთ. გუნდიც უფრო შეთამაშდა და აშკარად გავძლიერდით. ეს კი სიმშვიდის საფუძველს გვაძლევს" — აღნიშნა „ლივერპულის" მწვრთნელმა რაფაელ ბენიტესმა.

ტურის მთავარი მატჩი კი უდავოდ ლონდონშია — „აპტონ პარკზე" ერთმანეთს „ვესტ ჰემი" და „მანჩესტერ იუნაიტედი" ხვდებიან. გარდა იმისა, რომ ეს კლუბები ძირძველი მეტოქეები არიან და ქულები ორივეს სჭირდება, ამ შეხვედრას სხვა ინტრიგებიც აქვს.

„მანჩესტერს" უბრუნდება გარი ნევილი, რომელიც უკვე კლუბის ლეგენდად ქცეული როი კინის დანატოვარ კაპიტნის სამკლავურს გაიკეთებს. „წითელი ეშმაკების" მცველ რიო ფერდინანდს კი თავისი უმცროსი ძმის, ენტონის წინააღმდეგ მოუწევს თამაში.

„ენტონი ჩვენი ერთ-ერთი ლიდერია, თუმც ჯერ სულ 20 წლისაა. იგი დიდი ფეხბურთელი გაიზრდება, ალბათ, რიოს დარი. ძმების შეხვედრა ნამდვილად ძალიან საინტერესოა. უშუალოდ თამაშზე კი ბევრს ვერაფერს გეტყვით. ჩვენ სამი ქულისთვის ვიბრძოლებთ" — განაცხადა „ვესტ ჰემის" თავკაცმა ალან პერდიუმ.

ბოლოს ვთქვათ, რომ დიდ ინტერესს იწვევს კიდევ ერთი ლონდონური დერბი „უიგანსა" და ტოტენჰემს" შორის. პრემიერლიგაში წლეულს ალზევებული და ჯერჯერობით ჩინებულად მოთამაშე „უიგანის" მოგებათა სერია გასულ ტურში ასევე თანაქალაქელმა „არსენალმა" შეწყვიტა. პოლ ჯუელის გუნდი კი ემზადება, რომ ჯავრი „ტოტენჰემზე" იყაროს, მაგრამ „მამლები" აქეთ იმუქრებიან.

| XIV ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| შალკე | : | ვერდერი |
| ბაიერნი | : | მაინცი |
| ჰანოვერი | : | ლაუტერნი |
| დუისბურგი | : | კიოლნი |
| ვოლფსბურგი | : | არმინია |
| ლევერკუზენი | : | ჰამბურგი |
| ნიურნბერგი | : | დორტმუნდი |
| **ხვალ** | | |
| ჰერტა | : | გლადბახი |
| აინტრახტი | : | შტუტგარტი |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 13 | 11 | 1 | 1 | 29:9 | 34 |
| ვერდერი | 13 | 9 | 2 | 2 | 38:17 | 29 |
| ჰამბურგი | 13 | 8 | 4 | 1 | 21:6 | 28 |
| შალკე | 13 | 5 | 7 | 1 | 16:9 | 22 |
| ჰერტა | 13 | 6 | 3 | 4 | 21:18 | 21 |
| გლადბახი | 13 | 5 | 5 | 3 | 17:14 | 20 |
| დორტმუნდი | 13 | 4 | 6 | 3 | 20:17 | 18 |
| შტუტგარტი | 13 | 3 | 8 | 2 | 17:16 | 17 |
| ლევერკუზენი | 13 | 4 | 5 | 4 | 22:22 | 17 |
| ვოლფსბურგი | 13 | 4 | 5 | 4 | 14:20 | 17 |
| არმინია | 13 | 4 | 3 | 6 | 17:21 | 15 |
| აინტრახტი | 13 | 4 | 2 | 7 | 16:21 | 14 |
| ჰანოვერი | 13 | 2 | 7 | 4 | 18:21 | 13 |
| მაინცი | 13 | 3 | 3 | 7 | 17:21 | 12 |
| კიოლნი | 13 | 3 | 2 | 8 | 19:28 | 11 |
| ნიურნბერგი | 13 | 2 | 3 | 8 | 14:26 | 9 |
| დუისბურგი | 13 | 2 | 3 | 8 | 12:26 | 9 |
| ლაუტერნი | 13 | 2 | 3 | 8 | 17:33 | 9 |

**მიროსლავ კლოზე** და ივან კლასნიჩი ტრავმირებულნი არიან, რაც იმას ნიშნავს, რომ „ვერდერის" ფორვარდები „შალკესთან" ვერ ითამაშებენ. არადა „მუსიკოსთა" 38 გოლიდან ამ წყვილმა 22 გაიტანა. უკვე თვეზე მეტია, კლასნიჩი დაშავებულია, ხოლო კლოზემ „ბარსელონასთან" მატჩში იტკინა ფეხი და სამი კვირა მოუწევს დასვენება.

# გერმანია

ვაჟა ხეციშვილი

## ვერდერს დამკვრელები აკლია



ივან კლასნიჩი და მიროსლავ კლოზე „ვერდერს" დიდი ხნით გამოაკლდნენ

ასეთ ვითარებაში „შალკეს" დღეს მოგების და ჩემპიონობისთვის ბრძოლის გაგრძელებას შანსი აქვს, თუმც კი მიუნხენის „ბაიერნს" 12 ქულით ჩამორჩება. „ხუმარების" მთავარი პრობლემა შეტევაა. მათი ფორვარდები, კევინ კურანი და თომას ლარსენი, დიდი შედეგიანობით ვერ დაიკვეხნიან. „პსვ ეინდჰოვენთან" მოგების შემდეგ გუნდი კარგ ხასიათზეა. რალფ რანგნიკი შემადგენლობას ალბათ არ შეცვლის და წინა ხაზზე კობიაშვილ-კურანი-ვარელას ტრიოს გაამწესებს. ლარსენი და ასამოა სათადარიგოებში იქნებიან. რაც შეეხება „ვერდერს", კლოზე-კლასნიჩის დუეტს სავარაუდოდ, ვალდესი-ჰუნტის წყვილი შეენაცვლება.

„ბაიერნს" შეუძლია, იმით ისარგებლოს, რომ „ვერდერს" და „ჰამბურგს" სტუმრად რთული თამაში ელით და „მაინცთან" მოგებით მდევრებთან სხვაობა კიდევ უფრო გაზარდოს. ჩემპიონთა ლიგაში მიუნხენელებმა ვენის „რაპიდი" დააჩოქეს და ალბათ „მაინცსაც" არ დაინდობენ. ძირითად შემადგენლობაში დაბრუნდება ბიქსენტ ლიზარაზუ, რაც ბასტიან შვაინსტაიგერის თადარიგში დატოვებას გამოიწვევს. მიხაელ ბალაკის თამაში საეჭვოა. როკე სანტა კრუზი და ჰასან სალიჰამიჯიჩი დაშავებულნი არიან, როი მაკაი და კლაუდიო პიზარო კი მეტოქის დაცვის გაწეწვას შეეცდებიან.

ლევერკუზენის „ბაიერს", რომელიც „ჰამბურგს" მასპინძლობს, მხოლოდ კარსტენ რამელო დააკლდება. უეფას თასზე „მონაკოსთან" დამარცხებული „ჰამბურგის" ძირითადი შემადგენლობის ყველა ფეხბურთელი ჯანზეა. „ბაიერი" ნელ-ნელა აუმჯობესებს თამაშს მას შემდეგ, რაც კლაუს აუგენტალერი მიხაელ სკიბემ შეცვალა, თუმც „ჰამბურგი" ის გუნდია, სტუმრად ჯერ რომ არ წაუგია.

ბერლინის „ჰერტა" უეფას თასზე „ლანსს" დაუზავდა და ახლა მიონხენგლადბახის „ბორუსიას" დამარცხება მართებს. „ჰერტას" ბრაზილიელი ჟილბერტო ჰყავს ტრავმირებული, „ბორუსიას" კი — თომას ჰელვეგი და უესლი სონკი. მიონხენგლადბახელებს, რომლებმაც სეზონი კარგად დაიწყეს, ბოლო სამი ტურია, არ მოუგიათ.

„ვოლფსბურგმა" გასულ უქმეებზე ბრემენში სირცხვილი ჭამა, რადგან „ვერდერთან" 1:6 წააგო. „მგლებს" რეაბილიტაცია სჭირდებათ და საამისოდ დღეს „არმინიას" უნდა მოუგონ. მასპინძლებს კვლავ დააკლდებათ არგენტინელი გამთამაშებელი ანდრეს დალესანდრო, სტივ მარლე კი სათადარიგოებშია.

„კაიზერსლაუტერნის" ახალ მწვრთნელ ვოლფგანგ ვოლფის დებიუტი „ჰანოვერთან" მატჩში შედგება. ვოლფმა თქვა, გუნდში კარგი ფეხბურთელები არიან და აქ იმისთვის არ მოვსულვარ, რომ მომავალი სეზონი მეორე ბუნდესლიგაში დავიწყოო. უკვე 11 მატჩია, „კაიზერსლაუტერნს" არ მოუგია.

„ნიურნბერგმა" წინა ტურში „ლაუტერნს" 3:1 სძლია და ჰანს მაიერის გუნდი ახლა დორტმუნდის „ბორუსიას" დაუხვდება, რომელიც მაღლა-მაღლა მიიწევს.

| XIII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ვალენსია | : | სელტა |
| მალიორკა | : | ბილბაო |
| **ხვალ** | | |
| ბეტისი | : | კადისი |
| დეპორტივო | : | ვილიარეალი |
| ატლეტიკო | : | ესპანიოლი |
| ოსასუნა | : | ალავესი |
| ხეტაფე | : | მალაგა |
| ბარსელონა | : | რასინგი |
| სარაგოსა | : | სევილია |
| სოსიედადი | : | რეალი |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 12 | 7 | 4 | 1 | 30:11 | 25 |
| ოსასუნა | 12 | 8 | 1 | 3 | 16:11 | 25 |
| სელტა | 12 | 7 | 2 | 3 | 16:12 | 23 |
| რეალი | 12 | 7 | 0 | 5 | 22:14 | 21 |
| ვილიარეალი | 12 | 5 | 5 | 2 | 18:12 | 20 |
| დეპორტივო | 12 | 5 | 5 | 2 | 17:12 | 20 |
| სევილია | 12 | 5 | 5 | 2 | 11:6 | 20 |
| ვალენსია | 12 | 5 | 4 | 3 | 16:15 | 19 |
| ხეტაფე | 12 | 5 | 3 | 4 | 17:16 | 18 |
| სოსიედადი | 12 | 5 | 1 | 6 | 17:24 | 16 |
| მალაგა | 12 | 4 | 3 | 5 | 18:15 | 15 |
| ატლეტიკო | 12 | 4 | 3 | 5 | 12:12 | 15 |
| კადისი | 12 | 3 | 4 | 5 | 8:12 | 13 |
| ესპანიოლი | 12 | 3 | 3 | 6 | 9:14 | 12 |
| მალიორკა | 12 | 3 | 3 | 6 | 11:21 | 12 |
| სარაგოსა | 12 | 1 | 8 | 3 | 12:15 | 11 |
| ალავესი | 12 | 2 | 5 | 5 | 11:16 | 11 |
| რასინგი | 12 | 2 | 5 | 5 | 6:11 | 11 |
| ბეტისი | 12 | 2 | 4 | 6 | 8:19 | 10 |
| ბილბაო | 12 | 1 | 4 | 7 | 11:18 | 7 |

**ბრაზილიელ** მწვრთნელ ვანდერლეი ლუშემბურგოს ხვალ ბასკურ „ანოეტაზე" რთული გამოცდის ჩაბარება მოუწევს. მადრიდის „რეალის" ბოლო ორ თამაშს „გალაქტიკური" ნამდვილად არ ეთქმოდა — სამარცხვინო 0:3 „ბარსელონასთან" და ულიმღამო 1:1 ფრანგულ „ლიონთან". გაავებული ფანებიც ლუშემბურგოს გუნდიდან გაგდებას მოითხოვენ.

# ესპანეთი

ლადო ხომერიკი

## ლუშემბურგო გამოცდაზე წავიდა



„რეალის" მწვრთნელ ვანდერლეი ლუშემბურგოს თავის მოსაფხანად არ სცალია

„რეალის" უფროსობა თითქოს მწვრთნელის მხარეს იჭერს, თუმც თუ მადრიდელებმა ხვალ „სოსიედადთანაც" შეირცხვინეს თავი, ბრაზილიელს კონტრაქტის ნაადრევად შეწყვეტა არ ასცდება. „რეალი" პრიმერადივიზიონის ცხრილში ახლა მეოთხე ადგილზეა, რონალდო და რაული ტრავმირებულნი არიან. სავარაუდოდ, ბასკებთან ვერც დევიდ ბექემი ითამაშებს, იგი დაშავებულია.

„სოსიედადმა" წინა ტურში „მალაგასთან" წააგო და თუ მათ მწვრთნელ ხოსე ამორორტუს ვერწმუნებით, ბასკები მეტოქეს არაფერს დაუთმობენ. „ჩვენთვის მოედანზე ავტორიტეტი არ არსებობს, წაგებულს და მოგებულს „ანოეტაზე" ნაჩვენები დუენდე (ჯიგარი) გამოარკვევსო" — უთქვამს ბასკ თავკაცს. დამხვდურთა გუნდში სიახლე ალბათ ოსკარ დე პაულას ძირითადში ყოფნა იქნება.

ლიდერი„ბარსელონაც" კვირას თამაშობს — კატალონიური გრანდის მწვრთნელმა ფრანკ რაიკარდმა ბრემენის „ვერდერთან" საჩემპიონთალიგო ჯახში ძირითადის რამდენიმე ფეხბურთელი დაასვენა, ხვალ კი ისინი სანტანდერის „რასინგის" წინააღმდეგ აუცილებლად ითამაშებენ. (ეტოო, მესი, ხავი, ედმილსონი).

„რასინგს" „კამპ ნოუზე" იქაური ფორვარდების „დაჭერა" ძალიან გაუჭირდებაო — წერენ ესპანური გაზეთები და უნდა დავეთანხმოთ.

კიკე სანჩეს ფლორესის „ვალენსია" დღეს ვიგოს „სელტას" მასპინძლობს. ადგილობრივებს სავარაუდოდ, რუბენ ბარახა არ ეყოლებათ — ეს საყრდენი ნახევარმცველი თავს შეუძლოდ გრძნობს და იმიტომ. დისკვალიფიცირებული კარლოს მარჩენა კი ტრიბუნაზე იჯდება და იქიდან უქომაგებს თანაგუნდელებს. „სელტას" დააკლდება თავდამსხმელი გუსტავო ლოპესი, ხოლო მუხლმტკივანი სილვას ადგილს ალბათ ხორხე ლარენა დაიკავებს.

მადრიდის „ატლეტიკოს" დამრიგებელი კარლოს ბიანკი „ესპანიოლთან" მატჩში არიელ იბაგასას, ლუჩანო გალეტისა და ზაინიოსს მოისაკლისებს. მათ ნაცვლად კი მაქსი როდრიგესს, მატეა კეჟმანსა და მარტინ პეტროვს ვიხილავთ.

